სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 14

2021 წლის 23 თებერვალი

ქ. თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო კოკურსის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს N133/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის მარიამ სამსახურებრივი ბარათის (N145689, 22.02.2021) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. გრანტის მიმღებმა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი), არაუგვიანეს 2021 წლის 5 მარტისა უნდა წარმოადგინოს საბანკო ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება მხოლოდ საგრანტო დაფინანსება;
3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის წარმდგენებთან, საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2021 წლის 31 მარტისა;
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

დანართი №1

დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2021 წლის 22 თებერვლის N14 ბრძანებით

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) 2019 წლის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტები

N	პროექტის სათაური	GMUS N	ორგანიზაცია
1.	ანგარიშვალდებულების ფორმალური და არაფორმალური მექანიზმები ქართულ და იტალიურ სასამართლო სისტემებში	CNR-19-030	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2.	დისტანციური ზონდირების გამოყენებით გარემოს კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება, რომისა და თბილისის მაგალითებზე	CNR-19-215	ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3.	ახალი ჰალოგენირებული პოლისაქარიდზე დაფუძნებული ქირალური სტაციონარული ფაზების დიზაინი, მომზადება და გამოყენება თხევად ფაზურ ენანტიომერულ დაყოფებში	CNR-19-075	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4.	ახალი ქირალური ჰიდანტოინების და ფენოთიაზინის ნაწარმების სინთეზი და მათი ენანტიომერული დაყოფის მექანიზმების შესწავლა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიაში	CNR-19-127	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5.	თანამედროვე ტექნოლოგიები კულტურული მემკვიდრეობის კვლევის, ინტერპრეტაციის და გავრცელების საქმეში	CNR-19-184	საქართველოს ეროვნული მუზეუმი